

### ა(ა)იპ „საზოგადოება ივერიისა“-ს თავმჯდომარის 2018 წლის ანგარიში

2010 წლიდან დღემდე მახათას მთაზე ღვთისმშობლის სახანის პროექტისთვის შემოწირულობა გაიღო 75,000 ადამიანმა. მათ მიერ მოხსენიებული ცოცხალი და გარდაცვლილი ადამიანების საერთო რაოდენობა კი 1,110,000-ია. თითოეული მათგანი, პატრიარქის კურთხევით, ტაძრის აღმშენებლად-ქტიტორად მოიხსენიება. ინფორმაცია აღმშენებლების შესახებ განთავსებულია ჩვენს ვებ გვერდზე: [www.iveriisa.ge](http://www.iveriisa.ge)

„საზოგადოება ივერიისა“-ს საქმიანობა შემდეგი მიმართულებებით მიმდინარეობს: საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება პროექტსა და მის მნიშვნელობაზე (ამ საქმეში ჩართული არიან ღვთისმეტყველები, ფილოსოფოსები, ისტორიკოსები); ფინანსებისა და მშენებლობის მართვა. ყველა სამშენებლო სამუშაო ტენდერის საფუძველზეა ჩატარებული, სადაც გადაწყვეტილების მიღება თანხობრივი და ხარისხის უზრუნველყოფის მაჩვენებლებით განისაზღვრა.

2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე შემოწირული თანხის ოდენობამ შეადგინა 1,589,789 ლარი. სულ 2010-2018 წლებში **20,967,006.52** ლარია შემოსული. აქედან დაახლოებით 10% დაიხარჯა ადმინისტრაციულ ხარჯებსა და საინფორმაციო მხარდაჭერაზე, ძირითადი თანხა კი მშენებლობას მოხმარდა. აღსანიშნავია, რომ წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად არის შემცირებული შემოწირული თანხების ოდენობა, თუკი საშუალოთვიური შემოსავლების დინამიკა პირველ წლებში შეადგენდა დაახლოებით 300,000 ლარს, 2018 წელს ეს რიცხვი იყო 132,000 ლარი.

იმის გათვალისწინებით, რომ 2017-2018 წლებში დაგეგმილი სამუშაოების დროულად შესრულების მიზნით აუცილებელი იყო ზოგიერთი სპეციფიკური სამუშაოს გარკვეული თანმიმდევრობით (დროში გადავადების შესაძლებლობის გარეშე) განხორციელება და ვინაიდან ამ სამუშაოების ერთიანი პაკეტით გაკეთება ფინანსური ეკონომიის საშუალებას გვაძლევდა, „საზოგადოება ივერიისა“-მ „თიბისი ბანკი“-დან აიღო „საზოგადოება ივერიისა“-ს მიერ არაუზრუნველყოფილი სესხი, 1,709,750 ლარის ოდენობით.

დაწყებული 2012 წლიდან ყოველწლიურად კეთდება ჩვენი შემოსავლებისა და ხარჯების აუდიტი. ჩვენს ვებ გვერდზე შეგიძლიათ იხილოთ 2016-2018 წლების აუდიტებული ფინანსური უწყისები.

## სამშენებლო სამუშაოები

2018 წელს, ტაძრის გარე მოპირკეთებასთან ერთად, დასრულდა სპილენძის ფურცლებით სახურავის მოწყობისა და შიდა კედლების გაჯით შელესვის სამუშაოები, ტაძრის მთავარი კანკელი, სატრაპეზო მაგიდა და საკურთხევის იატაკი. საბოლოო სახე მიეცა ტაძარში შესასვლელი 5 კარის თითბერის სხმულებით შემოსვასა და მათ მხატვრულ გაფორმებას .



სატრაპეზო მაგიდა

მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ტაძრის იატაკის, პლინტუსებისა და კიბეების მოწყობა, რომელთა საერთო ღირებულებამ ყველა ხარჯების გათვალისწინებით ჯამში დაახლოებით 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარი შეადგინა. 1,021 მ<sup>2</sup> იატაკის დასაგებად და სხვა საჭირო ელემენტების დასამზადებლად მოქანდაკე ზ. ჯოხაძესთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე შემოტანილ იქნა იტალიური წარმოების კარარას კარიერის 85 მ<sup>3</sup> თეთრი მარმარილოს ბლოკები ღირებულებით 377 851, 24 ლარი. ბლოკების დახერხვა და ცალკეული დეტალების დამზადება ხორციელდება შპს „სვეტი“-ს ჭოგნარის (თერჯოლის რაიონი) ქვის დამამუშავებელ საამქროში.

არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებული იატაკის მოსახვისათვის საჭირო კონტურების მოსაწყობად შპს „მარმარილო“-ს მეგვის სახერხ საამქროში, „საზოგადოება ივერიისა“-ს დაკვეთით, დამზადდა სალიეთის წითელი მარმარილოს ფილები .



ტაძრის შიდა სივრცე

2018 წლის ბოლოსთვის მთლიანად დასრულდა - ამბიონი და ამბიონზე ასასვლელი თეთრი მარმარილოს კიბე;

50 სმ სიმაღლის დეკორატიული პლინტუსი ტაძრის შიდა პერიმეტრზე და სვეტების გარშემო; ტაძარში შესასვლელი ცენტრალური სამსაფეხურიანი კიბე ყაზბეგის მწვანე დიაბაზის გამოყენებით.

შესრულებულ იქნა წყალკურთხევის პავილიონის ბაზისის მოწყობის სამუშაოები ყაზბეგის მწვანე დიაბაზისგან.

სამშენებლო სამუშაოები შეასრულა კომპანია „ბკ კაპიტალ“-მა, რომელმაც ასევე უზრუნველყო ტაძრის ელექტროგაყვანილობის სისტემის მოწყობა.



გახმოვანების აპარატურა

ტაძარში, საქართველოში პირველად, დამონტაჟდა მსოფლიოში ცნობილი „ბოსე“-ს ფირმის გახმოვანების აპარატურა. ტაძრის გახმოვანებისთვის სარდაფის სართულის გამოყენებით მოეწყო ფარული ელექტროგაყვანილობა, დამონტაჟდა თანამდეროვე სრულიად ახალი ბელგიური წარმოების ხმის მარეგულირებელი პულტი; შვიდ ადგილას, საკურთხეველთან ახლომდებარე სვეტებზე, შეიკიდა საუკეთესო ხარისხის ხმის გამაძლიერებლები. აღნიშნული სისტემის გამოცდამ წარმატებით ჩაიარა 9 ოქტომბერს - ივერიის ღვთისმშობლის ხატის დღისადმი მიძღვნილი პარაკლისი გადაიხადა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ. მღვდელთმსახურთა მსახურება და მომდერალთა გუნდის მიერ შესრულებული გალობა გარკვევით და შეფერხების გარეშე ისმოდა.




გახმოვანების აპარატურა

2018 წელს მოეწყო აღსავლის კარი და დაიწერა კანკელის ხატები. ხეზე ქრის ოსტატის პაატა დევდარიანის მიერ დამზადებულ და გაფორმებულ კარზე, მხატვარ დავით კაკაბაძის მიერ შესრულებულ იქნა უნიკალური მიკრომოზაიკა ღვთისმშობლის გამოსახულებით, ხოლო ოქრომჭედელმა ზურაბ ჩიქვინიძემ განახორციელა კარის ვერცხლით მოჭედვა ბექა ოპიზრის ორნამენტების გამოყენებით.





კანკელი



აღსავლის კარის შიდა მხარე



ხატმწერ თემურ ჯაფარიძის მიერ შესრულდა ღვთისმშობლის, მაცხოვრის, ანდრია პირველწოდებულისა და წმინდა ნინოს ხატები, რომლებიც განთავსდნენ კანკელის სარკმელებში.



ღვთისმშობლისა და წმინდა ნინოს ხატები



ტაძრის სრულფასოვანი ექსპლუატაციის უზრუნველყოფისთვის შპს „საგა“-მ დაიწყო ვენტილაციის სისტემის დაამონტაჟება, რომელიც დასრულდება 2019 წლის აპრილის ბოლოს.

2018 წლის შემოდგომაზე ქ. თბილისის მერიამ ტაძრის ტერიტორიაზე ახალგახსნილი საზოგადო მოღვაწეთა პანთეონისთვის მახათას წყლის რეზერვუარიდან გამოიყვანა 160 მმ დიამეტრის წყალსადენი, რომელიც მთლიანად უზრუნველყოფს შემდგომში ტაძრისა და სამონასტრო კომპლექსის წყალმომარაგებასაც.

2018 წელს ქ. თბილისის მერიამ გამოაცხადა ტენდერი ტაძრამდე მისასვლელი საქალაქო გზის მოწყობის სამუშაოებზე. პროექტი ახალი სატრანსპორტო კვანძისა და ღია ავტოსადგომის მოწყობას ითვალისწინებს.

ასევე, 2019 წლისთვის გათვალისწინებულია მერიის კეთილმოწყობის სამსახურის მიერ ტაძრის გარშემოსასვლელი რკინაბეტონის ფილის დასრულების, ტაძარში გვერდიდან შესასვლელი გრანიტის ტერასების, საზოგადოებრივი ტუალეტის და ეზოს კომუნიკაციების გაყვანისა და კეთილმოწყობის სამუშაოების შესრულება.



გზის კეთილმოწყობის სამუშაოები

პირადი საკუთრების დაცვის სამსახურმა „იონაითედ სეკურით“-მა გაწია ქველმოქმედება და უზრუნველყო ტაძრის გარშემო სათვალთვლო კამერების დამონტაჟება და სადღეღამისო კონტროლი.

ხის დამამუშავებელი საწარმო შპს „მანუ“ საკუთარი სახსრებით დაამზადებს ტაძრის შიდა 14 ხის კარსა და უზრუნველყოფს მათ მხატვრულ გაფორმებას. შემომწირველის მიერ შეძენილია კაკლის ხის მასალა. დაწყებულია თანამშრომლობა პროექტის ავტორთან და ხეზე ჭრის ოსტატებთან. სამუშაოები დასრულდება 2019 წლის აპრილისთვის.

2018 წელს ტაძრის მშენებლობასთან დაკავშირებით დასაქმებულთა რიცხვმა მთლიანობაში 100-ს გადააჭარბა. უშუალოდ ობიექტზე ქვის სამუშაოებს ასრულებდა - 12 კაცი, შპს „სვეტ“-ში - 8 ადამიანი, შპს „მარმარილო“-ში - 10 ადამიანი, კარის თითბერის სხმულების და დეკორატიული ელემენტების საბოლოო დამონტაჟებაზე 7, ელექტროგაყვანილობის და განთების მოწყობაზე 9, ვენტლაციის პროექტის დახვეწაზე 5, აღსავლის კარის მოწყობაზე 9, ხატების დაწერაზე 3, გახმოვანების სამუშაოების დამონტაჟებაზე 12, სხვადასხვა დამხმარე სამუშაოებს (მიწის სამუშაოები, გამწვანება, სანტექნიკური და ელექტრო სარემონტო) შესრულებაზე 8-10 ადამიანი, მასალების ტრანსპორტირებაზე და მათ დატვირთვა-დაცლაზე დაკავებული იყო 7 ადამიანი, ტაძლის დაცვას მუდმივად ემსახურებოდა 3 თანამშრომელი, ხოლო დაცვის სამსახურიდან ვიდეო კონტროლს ახორციელებდა 5 წარმომადგენელი.

## შეხვედრები საზოგადოებასთან

2018 წელს „საზოგადოება ივერიისა“-ს წარმომადგენლებმა შეხვედრები გამართეს და მახათას მთაზე მშენებარე სამონასტრო კომპლექსის არსსა და მნიშვნელობაზე ინფორმაცია მიაწოდეს ორმოცამდე ორგანიზაციის ხელმძღვანელ პირებსა და თანამშრომლებს. შეხვედრის მონაწილეებს საჩუქრად დაურიგდათ ღვთისმშობლის მედალიონები, საინფორმაციო ბროშურები და აღმშენებელთა ანკეტები.



შეხვედრა „თბილისის საკრებულო“-ში



შეხვედრა „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტ“-ში



ქტიტორთა სათათბიროს წევრების ინიციატივითა და „საზოგადოება ივერიისა“-ს ჩართულობით, გაიმართა საქველმოქმედო ღონისძიებები მ. თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრსა და სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში:

- 3 თებერვალს ბატონი გურამ დოჩანაშვილის ინიციატივით - სპექტაკლი „ჰარალეთი, ჰარალეთი“ (ავტორი: გ.დოჩანაშვილი);



საქველმოქმედო სპექტაკლი „ჰარალეთი, ჰარალეთი“

- 6 მაისს ქალბატონ ნინო სუხიშვილის ინიციატივით - „ ქართული ნაციონალური ბალეტი - სუხიშვილები“ კონცერტი; შემოსული თანხა ჩაირიცხა „საზოგადოება ივერიისა“-ს ანგარიშზე ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მშენებლობისათვის.



საქველმოქმედო კონცერტი



## ხატების მოგზაურობა

საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის 2017-2018 წლები საიუბილეოა. 2017 წლის 17 მაისს სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრიდან დაიწყო აწყურისა და ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატების მოგზაურობა სრულიად საქართველოში, დასრულდა 2018 წლის 14 ოქტომბერს.

ხატებს უმასპინძლეს 23 ეპარქიის 35 რაიონის მოსახლეობამ. 6 ოქტომბერს რეგიონებში სიწმინდეების მოგზაურობის დასრულებასთან დაკავშირებით ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქიიდან ხატები დაბრუნდა მცხეთა-თბილისის ეპარქიაში, ხოლო 11 ოქტომბერს, ხელისუფლების ხელშეწყობით, მოხერხდა ვერტმფრენით პირიქითა ხევისურეთისა და მთა-თუშეთის სასაზღვრო ადგილების დალოცვა ხატებით, ადგილზე შესრულდა სამადლობელი და სავედრებელი პარაკლისი.

2018 წლის 1 დეკემბრიდან ხატებმა მოგზაურობა გააგრძელეს თბილისის ტაძრებში. მოგზაურობა დასრულდება ღვთისმშობლის კვირეულის ფარგლებში 2019 წლის 12 მაისს.

მცხეთა-თბილისის ეპარქიის მრევლთან შეხვედრისას „საზოგადოება ივერიისა“-ს თანამშრომლები ესაუბრებიან მახათას მთაზე მშენებარე ღვთისმშობლის საგანის შესახებ. მათ ურიგდებათ აღმშენებელთა ანკეტები და საინფორმაციო ბროშურები .



ხატების მოგზაურობა





ხატების მოგაურობა

## კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი/მუზეუმი

2017 წელს დაიწყო ღვთისმშობლის სავანის პროექტის ახალი ეტაპი, რომელიც ათონის მთაზე ქართველთა მონასტრის - ივერონის ანალოგიით, ითვალისწინებს აქ საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვას. მოგეხსენებათ, რომ ივერონი იყო არამხოლოდ გამორჩეული სულიერი ცენტრი, არამედ ძალიან მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო კერაც. სწორედ ივერონმა განაპირობა დიდწილად ქართული იდენტობის შენარჩუნება.

ცხადია, რომ 21-ე საუკუნის საგანმანათლებლო ცენტრს ის ფორმები სჭირდება, რომლითაც კომუნიკაცია უფრო ადვილი და გასაგებია თანამედროვე ადამიანისთვის. ამიტომ, მუზეუმი გახდება საგანმანათლებლო საქმიანობის ინფრასტრუქტურული ცენტრი. ამ მუზეუმში უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტების დაცვით იქნება წარმოდგენილი, მართული და დაცული ჩვენი ეროვნული მემკვიდრეობის გარკვეული ნიმუშები. აქ დაცული საექსპოზიციო არტეფაქტების ნაწილი დამატებით საღვთისმსახურო ფუნქციასაც შეიძენს და გახდება ღვთისმშობლის სავანის ნაწილი.

2017-2018 წლებში, საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან შეთანხმებით, მიმდინარეობდა მუშაობა მუზეუმის პროექტზე. „საზოგადოება ივერიისა“-ს მიერ დაფინანსდა საერთაშორისო სამუზეუმო საქმის გამოცდილი პორტუგალიელი არქიტექტორის ლუიშ ტავარეს პერეირას მიერ შესრულებული მუზეუმის პროექტის კონცეპტუალური დიზაინი.

რამდენადაც ამ მუზეუმის ერთ-ერთი მთავარი აქცენტი გადატანილი იქნება საგანმანათლებლო საქმიანობაზე, საექსპოზიციო დარბაზებთან ერთად აქ განთავსდება აუდიტორიები ლექციებისთვის, იქნება ბავშვთა განათლების სპეციალური ცენტრი, შეხვედრების ადგილი, ბიბლიოთეკა და ა.შ. ამ ცენტრში ადამიანებს შეეძლებათ მოისმინონ ლექციები ღვთისმეტყველებაში, ფილოსოფიასა და ისტორიაში, მიიღონ ინფორმაცია და ისაუბრონ ფასეულობების შესახებ. აქ იქნება რელიგიისა და მეცნიერების, რელიგიისა და კულტურის შეხვედრის ადგილი.





ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარი მახათას მთაზე  
ავტორი: ომარ ნაფეტვარიძე